



— ხვთისო, რას ერი მამ ხაღსს?  
— შირაქში მიმუავს, ავიტმხაბვრული ბრიგადაა.

# თანამედროვე სიღვენა

მედიის ლიბერალიზაცია

**გათენებული** არ იყო, რომ თავზე ჩემი სიღვენა დამადგა.

— ბიჭო, ერთი რამე მოვისაზრე და მინდა გავიზიარო!

— რაშია საქმე? — ვკითხე მე.

— რაშია და, ხომ ხედავ, შენს მეტი პატრონი არა მყავს?! რომ ვბერდები, იმასაც ხედავ. ყველა სიკვდილის შვილები ვართ და რატომ უნდა შეგაწუხოთ... აგერ, შავი ღლისთვის გადასახული ფული და, მე რომ აღარ ვიქნები, არავინ შეაწუხო ჩემი გასვენებითა და დამარხვით! რას იტყვი?

— კაი ახლა, დედა, მაგი როგორ იფიქრე?! რა დროს შენი სიკვდილია! შენ მაგისი ჯავრი ნუ გეჭნება, დაუპარხავი არავინ დარჩენილა! შენი ფული შენ გქონდეს და როგორც დაიბარებ, ისე გაგასვენებ!

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნები, ავიღებ ჩემ ფულს და მოგაბარებ შენ!

სიღვენა ფული გადათვალა, შეკრა და, ოჯახის წევრების თანდასწრებით, საჯაროდ გადამოძცა:

— ა, შვილებო, ჩემი დასამარხი ფული და, როგორც წესი და რიგია, ისე გამასვენეთ, იცოდეთ!

ფული საგულდაგულოდ შევიხაზე და დაიწყე ჩემი ტანჯვა.

ერთ დღეს სიღვენა საიდუმლოდ გამიხმო მეორე ოთახში.

— ბიჭო, შენ შემოგველოს ჩემი თავი. ერთი სათხოვარი მაქვს შენთან! ყვავილები ჩემ სიცოცხლეში არ მყვარებია, მათი სუნი-

საგან ალერგია მემართება!..

— როდის მიყიდი თქვენი ყვავილები?! — ვიმართლე თავი.

— არა, მაგაში არ არის საქმე! ჩემს დასამარხ თანხას გამოაკელი ყვავილების ფული და მომეცი, ძალიან მჭირდება!

— კი, ბატონო! — ფული გამოვუტანე და დანარჩენი შევიხაზე.

ორი კვირის შემდეგ სიღვენა ისევ გამომეცხადა:

— შენ ხომ იცი, სმენა არასდროს მქონია და არც მუსიკა მყვარებია. ჰოდა, შენ შემოგველე, პანაშვილზე არც მუსიკა მინდა და არც სიმღერები. რაც მაგაში უნდა დაგეხარჯა, მომეცი, ძალიან მჭირდება!

ვიანგარიშეთ, რა ჯდება პანაშვილების მუსიკა და დანარჩენი თანხა ისევ თავის ადგილზე დავდე. ორი თვის შემდეგ სიღვენა კვლავ მომადგა:

— ერთი კარგი ფეხსაცმელი და კაბა მაქვს, ჩემი ცხოვრებული ნოეს ნაყიდი. ისე მიყვარს, ახლოს მირჩევნია, ჰოდა, ისევე ამით გამოვეცხადები ჩემს ნოეს საიქიოში, გაუხარდება. ასე რომ, ტანისამოსის ყიდვა არ მინდა, იმის ფულიც მომეცი, ძალიან მჭირდება!

რას ვიზამდი, მივეცი.

კაი ხანი გავიდა. ერთ დღეს ჩემმა სიღვენამ გაზეთი გამოიტანა და წაგვიკითხა, თუ რა მოხდა ერთ სოფელში ქელესში დათრობის შედეგად და ერთსაათიანი ლექცია ჩაგვიტარა ქელესის მავნებლობაზე როგორც ოჯახის ბიუჯეტისათვის, ისე დამსწრე საზოგადოებისათვის და მოაყოლა:

— ჩემო შვილებო, ხომ ხედავთ, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ უთავბოლო ღვინის სმას?! ვიცი, ჩემი ქელესი „მრავალუმიერით“ გათავდება და, რაიმე უბედურება რომ არ მოხდეს, ამიტომ ქელესის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ! მოკლედ, ახლა მომეცი ქელესის ფულიც!

ცოტა ხნის შემდეგ გავსეთ ამოცხადების ფულიც მომთხოვა:

— რად მინდა გაზეთში გამოცხადება? ტელეფონი რისთვის არის, გადაურეკ-გადმოურეკეთ მთელ ნათესაობას, რა ბევრი ჩვენს ვართ, კი მოიყრიან თავს. ერთხელ, შუალამისას დავადგა მე და ჩემს ცოლს თავზე.

— ახლა არ მითხრა, კუბო არ მინდა, ისე გამასვენო, თორემ გავგიჟდები!

— დიახაც! სწორედ მაგაზე ვარ მოსული. მარმარილოს ძეგლი არ დამადგათ თავზე... ის მარმარილო, რაც ჩვენს სასაფლაოებზეა, თბილისისათვის რომ

ნ.ხ. მ. აბაშიძისა



— ბავშვიან ქალს ვირთავ, წესით ურიგოდ უნდა გამაბაროთ!

— რა იყო, რა მოხდა?! ბოლოს და ბოლოს, ღამე მაინც დაგვაძინე! — ველარ მოვითმინე და ავყვირდი მე.

— რა გაყვირებს, თუ იცი?! შენსას არაფერს გთხოვ, ჩემი სიკვდილით. ვიცი, გამდიდრდები და ახლა...

მოეხმარებით. რომი უკან დაგვრჩებოდა! ახლა გამოიღე ის ფულიც და მომეცი აგერ, იტალიაში მივდივარ ტურისტულ მოგზაურობაში!

ერთ კვირაში ჩემი სიღვენა საზღვარგარეთ გაემგზავრა.

თინა ჟორჟოლიანი

# სარკაზმით სადღებრძელო

სარკამარტოდ შევესწარი,  
შესასწრებიც დაილია!

ვინ არ ვნახე:

სოსო,  
პროკლე,  
სარდიონი  
და ილია ...

ზოგმა სადღებრძელოებით  
მოგვნიბლა და გავგაოცა,  
ზოგმაც, სიხარულის ნიშნად,  
მასპინძელი გადავოცნა.

ერთმა უცებ დაიქუხა:  
„სადღებრძელო შესვით  
ყველამ!“

ბოლოს ყანწიც მოითხოვა,  
თუმც არ იყო ყანწისხელა:

„ჩვენს თამადას,  
ძვირფას ადამს,  
ახალგაზრდას,  
ამტანს,  
გამტანს,  
რომლის დიდი სიყვარული  
ჩემი სულის სიღრმეს ატანს,

უტკბილესს და უსაყვარლესს,  
მეგობრულს და სულით  
მდიდარს,  
ნიჭიერს და პატიოსანს,  
ერთი სიტყვით, ყოვლად  
წმინდას ...“

მერე ლამაზ დიასახლისს  
პურ-მარილი შეუქო და  
წულღებრძელა იქ გამზრდელი,  
აქ — მარანი,  
ეზო,  
ოდა ...

„აბა, ყანწი,  
ისევ ყანწი,  
მე გახლავართ, პავლეს  
შვილი!“ —

ესა თქვა და სავარძელში  
ჩაესვენა გაღეშილი ...

მეორე დღეს მეზობლებში  
მასპინძელზე მოჰყვა ქადაგს:  
„ბედოვლათს და ქოცოლაძეს,  
ჩემზე კარგი რა აქვს ადამს?“

თავიმც ისე გაუხმება,  
ის იმ ქების იყოს ღირსი!  
რა ვქნა, ჩვენი წარმოების  
დირექტორის არის ქვისლი!“ —

ასე ბჭობდა ის თამადა,  
მეორე დღეს, უთენია,  
თუმც პატივი იმ რვა მარტის  
დღესაც გადაუხდელი აქვს.

ეთერ სამხარაძე-ჯღანაძე

დიდი სიძნელების გადალახვა დამჭირ-  
და, სანამ მანქანის ტარებას დავეუფლებო-  
დი. მქონდა უკიდურესი სასოწარკვეთის  
მომენტებიც: როცა ვფიქრობდი, რომ ამ  
ქვეყანაზე ყველაზე ძნელი და მიუღწეველი  
მძღოლობაა! აბა, კოსმონავტიკა რა თქვა-  
სო? მკითხავთ. კოსმონავტიკას რა უნდა,  
ხომალდს მიჰყავს გაშლილ სივრცეში, დაე-  
ჯახება რამეს? შუქნიშანს უნდა უყუროს?  
არა!

შოფრობა სულ სხვაა! მაინც თუ ადამიან-  
ებისთვის გამოიგონეს ეს დალოცვილი  
მანქანა, არ იცოდნენ, რომ ადამიანს მხო-  
ლოდ ორი ფეხი აქვს?! სამ სატერფალს  
როგორ გინდა გაწვდებ?! საგზაო ნიშნები  
ხომ ღმერთს აბარია, მაღლა ცაშია გამო-  
კიდული, იმას თუ ვუყურე, გზას ვინ უყუ-  
როს, არ უყურებ და საიდან გაიგებ, რომ  
შესვლა აკრძალულია, დგომა აკრძალუ-  
ლია, შეჩერება აკრძალულია, მოხვევა აკრ-  
ძალულია, სიგნალი აკრძალულია. მალე  
გასავლელ ადგილსაც ვერ იპოვი, იმიტომ  
რომ ფეხით მოსიარულენი სულ აღარ ეპუ-  
ებიან მანქანას. რა გახდა ეს ფეხით სია-  
რული?!

ასეთ სიტუაციაში შეიძლება მანქანა რო-  
მელიმეს დაეჯახო და ამაზე უნდა დავისა-  
ჯო?

ამ ფიქრებით შებოჭილმა ჩემს საკუთარ  
სახლს დავაძვერე მანქანა.

— სადაა ამ უპატრონოს შოფერი? —  
სად იყო და სად არა, წარმოიქმნა ავტო-  
ინსპექტორი.

— შოფერი მე ვარ, — ამოვიღულულუდე  
— შეეენ? ჰოდა, დაემშვიდობე მართვის  
უფლებას!

— ჩემი მანქანა ჩემ სასლს დავაჯახე,  
თქვენ რა გინდათ? — შევეკამათე.


— რა მინდა და, ქალის საქმე არაა შო-  
ფრობა! წადი, დარეცხე ჭურჭელი! — ასე  
იძახდა ყველა. მეც დიდხანს ვიწვალე,  
ვძლიე ეშმაკს და ახლა აღარ დავაქროლებ  
მანქანას. ის, რაც ასე რთულად მერჩვენებო-  
და, მექანიკურ ჩვევად მექცა, ზედმე-  
ტიც მომივიდა, მეორე უკიდურესობაში გა-  
დავვარდი. ყველა წესს ვიცავ. სამსახურ-  
შიც წინ არავის ვუსწრებ! ან ვინ გაგასწ-  
რებინებს!

ერთხელ, სამსახურში მაგვიანდებოდა და  
ხელსაყრელი გზა ვირჩიე. ესედავ, ქუჩის  
დასაწყისში მანქანების შესვლის აკრძალ-  
ვის მაუწყებელი ნიშანი მეხატება თვალე-  
ში. იმ წუთშივე გამოვბრუნდი და შორით  
ვიარე. როცა დავავიანებთ მივედი სამსა-  
ხურში, მაშინდა მივხვდი, რომ ის აკრძალ-  
ვის ნიშანი მანქანას ეხებოდა, მე ხომ ფე-  
ხით მივდიოდი!

სწორედ ამაზეა ნათქვამი. „ჩვეულება  
რჯულზე უმტკიცესია“.

ელენე საჰვარელიძე,

საქ. სსრ დამსახურებული არტიტი.



ნ.ა. ბ. შირიძის ნახატი

შენ და დედამაყენი კლამი ბამბინინში!

## ოსკარ უაილდი

### ქ ე ლ ე ბ ზ ე


- ბუნებრიობა მეტად რთული პოზაა, დიდხანს ვერ გაუძლებთ!
- ჩვენს დროში ქალები ცდილობენ, ხშირად გათხოვდნენ. ახლა ეს მოდაშია!
- ირაციონალური არიან ის ქალები, რომლებიც კარგად იცვამენ.
- პატარა თხოვნა ყოველთვის ძნელი შესასრულებელია!
- მოსმენა ძალიან სახიფათოა შეიძლება, დაგარწმუნონ!
- საკუთარი ქმრები არაფერში არ გვაფასებენ. ამისათვის სხვის ქმრებს უნდა მივმართოთ!
- უეჭვო ქმარი ცოლის ტრაგედიაა!

- მალალი ინტელიგენტობა ცუდად მოქმედებს გარეგნობაზე.
- კომპლიმენტით ქალების განიარაღება შეუძლებელია, კაცებისა — შესაძლებელი!
- თანამედროვე ქალებს ყველაფერი ესმით, გარდა თავიანთი ქმრებისა!
- ქალები თითქმის კაცებივით ცნობისმოყვარენი არიან!
- ძალიან გათანამედროვეობა სახიფათოა! შეიძლება, ჩქარა გამოხვიდე მოდიდან!



შეაგროვა და თარგმნა  
ზ. ყორღანაშვილი



ნახ. 3. ფირცხალავანი



უსიტყვოდ



— თბილისის № 1 წისკვილკომბინატის მიერ გამოშვებული „მანანის ბურღული“ — „კრუბა მანანია“ ვიცი, სახლში მივიტანე. როგორც კი ჩემმა შვილმა თვალი მოჰკრა პარკზე დახატულ შეშინებულ, სატირლად გამზადებულ ბავშვს, მანაც ღრიალი მორთო, ჭამის მადა დაკარგა... ჩვენი პატარების სახელით წისკვილკომბინატის ხელმძღვანელობას ვთხოვთ თუ მომლიძარე-გახარებული ბავშვის დახატვა არ შეუძლიათ, ნახატის გარეშეც ვიცილით „კრუბა მანანია“-ს.

გურჯაანიდან და სიღნაღიდან გაწუხებთ საყვარელო ნიანგო! ტელეგადაცემას გვინდა ვუყუროთ, მაგრამ გამოსახულება არ ჩანს, მარტო ხმა ისმის. რადიო ხომ აღრეც გვექონდა. საღ ჩავაბაროთ ტელევიზორები? სოფელ ფშავლიდან ვირეკავთ, მოსწავლეები ვართ. ჩვენი სკოლა თანამედროვე სტილზეა აგებული, მაგრამ რად გინდა! გარედან მტერს უბრმავეებს თვალს, ხოლო შიგნიდან მოყვარეს. ძალზე რომ შეგვცვივდება ქუჩაში გამოვდივართ გასათბობად. მეოთხე სართულზე ისე წვიმს, როგორც გარეთ. ქვემოთა სართულზე კი შედარებით ნაკლებად. აქ კეთილმოწყობა უცხო ხილია.

მოისმინა შანი სინარულიძემ

ნახ. 5. ძელნახაზვილისა




უსიტყვოდ



— ამ 8 მარტს თუ გადავური, მერე მე ვიცი!

ნახ. 6. მართაზვილისა



უსიტყვოდ

# ნიანგის უოსტა

ხაშურის რაიონის სოფ. სატივედან გვეწერდნენ: სოფელში ცეცხლი გაჩნდა, მოქ. ჯ. დ-ის საბჭელი იწყოდა. გამოვიძახეთ სახანძრო რაზმი. მებანძრეების მოსვლამდე ხანძარმა მ. ჯ-ის ეზოშიც იფეთქა. ვანა, ესაა ხანძარსაწინააღმდეგო მზადყოფნა?

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: „...გამოიკვია, რომ ქ. ხაშურიდან 12 კმ-ით დაშორებულ სოფ. სატივეში მცხოვრებ ჯ. მ. დ-ის საბჭელს მართლაც გაუჩნდა ცეცხლი. სახანძრო ავტომანქანა გამოძახებისთანავე გაიგზავნა ხანძრის ადგილას. ამ პერიოდში საბჭელმა ხანძრისაგან განიცადა მთლიანი დეფორმაცია. ავტომანქანაში არსებული წყალი საკმარისი არ აღმოჩნდა ცეცხლის ჩასაქრობად, თუმცა მიღებული ზომების შედეგად ხანძარს შეეზღუდა გავრცელების საშუალება. მდინარისაგან წყლის აღების პერიოდში წყობილებიდან გამოვიდა ავტომანქანის ტუმბო, რის გამოც გამოძახებულ იქნა მეზობლად მდებარე აღის საბჭოთა მეურნეობის მოხალისეთა სახანძრო რაზმი, რომლის მოსვლის მომენტში მოულოდნელად ხანძარი გაუჩნდა იმავე სოფელში მცხოვრებ მოქ. მ. ჯ-ის სახლის ეზოში დაგროვილ მ ტონამდე თევას. მოკლე პერიოდში იგი სწრაფად გავრცელდა და საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ სახლს და კოლმეურნეობის დამზარებ სათავსოს, მთელი ძალები გადაყვანილ იქნა ხანძრის ამ კერის ჩასაქრობად“.

კარგი იქნებოდა, სოფ. სატივეში ტივით არ ჩასულიყვნენ მებანძრეები და, თანაც, წყლის ტუმბოც არ გამოსულიყო მწყობრიდან.

თბილისიდან და დუშეთიდან წერილები მივიღეთ. მათი ავტორები გულსტიკვილით აღნიშნავენ: საქალაქთაშორისო ლაპარაკი შევეუკვეთეთ, მაგრამ, ნეტავ, არ შეგვეკვეთა! ბევრი ვინერგიულეთ ბევრი ვეხვეწეთ, ბევრიც დავემუქრეთ, მაგრამ ვის, ჩვენც არ ვიცოდით. სატელეფონო ლაპარაკი მაინც არ შედგა.

აღნიშნული წერილები რედაქციამ კავშირგაბმულობის სამინისტროს გადაუგზავნა. მივიღეთ პასუხი: „...მე-11 საფოსტო განყოფილებაში შექმნილი № 87 ტალონით შეკვეთილი ლაპარაკები ჩაიშალა თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტების ე. სარაიანისა და ნ. ფოფხაძის არაოპერატიული მუშაობის გამო. ტელეფონისტ ე. სარაიანს აღნიშნული ფაქტისათვის დაედო დისციპლინარული სასჯელი, ხოლო ნ. ფოფხაძის მიმართ ზომების მიღება შეუძლებელია, რადგანაც საჩივრის აღძვრამდე განთავისუფლებულია სამსახურიდან“.

„საქალაქთაშორისო ლაპარაკი ქ. დნებროპეტროვსკთან ჩაიშალა თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტ № 417 ამხ. არათანაშვილის დაუდევრობის გამო. მას გამოეცხადა საყვედური და ჩაუტარდა შესაბამისი ინსტრუქცია მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად“.

საინტერესოა, არაოპერატიულ მუშაობასა და დაუდევრობას მიჩვეული ხომ არ არის თბილისის საქალაქთაშორისო სადგურის ზოგიერთი მუშაკი?

# ჩვენი სტატიტიკა

ბასულ 1975 წელს „ნიანგმა“ უამრავი წერილი მიიღო: „ძვირფასო ნიანგო!“, „ყოველისშემძლევ!“, „ჩვენო ღმერთო და მშველელი!“, „ბასრმახვილიანო!“ — ასეთი ეპითეტებით იწყებენ ავტორებს.

„გიშველეთ!“, „დაგვეხმარეთ!“, „მოგვხედეთ!“ — ასე ამთავრებენ წერილებს და მათ უკან ვხედავთ გაყინულ რადიატორებს, ხახვამშრალ ონკანებს, გამოკეტულ აბანოებსა და კლუბებს, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელთა უსულგულობით დანგრევამდე მისულ სკოლებსა და ბინებს, სიცვიდან დაღურჩებულ მოსწავლეებსა და მობინადრეებს, სანთლით განათებულ, ან სულაც ჩაბნელებულ ეზოებსა და სახლებს, ხმაგაკმენდილ ტელევიზორებსა და დამუხრებულ ტელეფონებს, ატალახებულ ქუჩებს...

შემოსული წერილების მიხედვით აშკარა ვითარებაა: ხახვამშრალი — 103 ოჯახი. გაყინული — 150, გაჩერებული ლიფტი — 160 (სხვათა შორის, რაშდენიმე წერილი ლიფტში გაჩხერილებისაგანაც მივიღეთ!); თავლაფდასხმული — 144 ქუჩა; უავტობუსო — 82 სოფელი, უწყლო და უაბანო — 130...

ზოგი წერილი რედაქციამ დანიშნულებისამებრ გადაუგზავნა სათანადო ინსტანციებს, ზოგი კი ადგილზე შემოიწმინდა.

გადაგზავნილ წერილთა ადრესატების უმრავლესობა გულისყურით მოეკიდა რედაქციაში შემოსულ საჩივრებს და, სათანადო დახმარება თუ არა, დაპირება მაინც აღუთქვა მომჩივნებს. ზოგიერთი ადრესატი დღესაც დუმს. დუმილი თანხმობის ნიშანია, მაგრამ თანხმობა გაჭირვებას როდი შველის! — რადიატორს გათბობა უნდა, გზას — გასუფთავება, ავტობუსს — ამუშავება, სკოლებს, ბინებს, ტელეფონსა და ტელევიზორს — დროული შეკეთება, წყალს — გამოყვანა, დაკეტულ აბანოებს — გაღება!

რედაქცია დაბეჭდვით შეახსენებს ადრესატებს: დაპირება საქმით შესცვალონ, ხოლო დუმილი — პასუხით!

ნიანგის დავალებით —  
ნანა ჯაჯანაშვილი

\* \* \*

ღიღი ენთუზიაზმით ჩაიარა ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა საერთაშორისო წელმა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა შეიყვარეს 150 ათასი ცალი მამაკაცი. წელს შეიღება და კეთილმოეწყო 8750 წყვილი თვალი. ქალების მიერ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მომზადდა 125 სადილი, 18 ვახშამი და 7 საუზმე. გარეცხილ იქნა 75 მამაკაცის პერანგი, 8 ცალი შარვალი, ხოლო პიჯაკებზე დაკერებულ იქნა 25 ცალი დილი. წელს თითოეულმა ქალმა საშუალოდ გადაიხადა სამხახევიარი დაბადების დღე. დაბადების დღეებიდან წამოსულმა მანდილოსნებმა ახალგაცნობილ კავალრებთან ჩაატარეს 7 მილიონ 800 ათასი კოცნა. საიუბილეო წელს ქალების მიერ ტელეფონით სარგებლობის საშუალო ხანგრძლივობა წარმოადგენდა დღეში 6 საათს.

ნოვალი ბარტაია.

## კოლონელ იუგოსლავია აჯრები

— არსებობს სიცრუის სამი სახეობა: ტყუილი, თვალის ახვევა და წლიური ანგარიში.

იოზეფ გულატოვიჩი

— ფურგონში „მეხუთე ბორბალმა“ ჩვენს დროში სხვა მნიშვნელობა მიიღო. ახლა იგი... სათადარიგოა.

\* \* \*

— კრიტიკოსი საზოგადოებრივ საფეხურებზე შესაფლავებზე მალა დგას. იმიტომ, რომ იგი უკეთ ასრულებს ამ მოვალეობას. არა გჯერათ? კითხვით დასაფლავებულ ავტორს.

იან ლიპინსკი

პოლონურიდან თარგმნა სტანისლავ რაპინჩმა

## ბანსხარება

შედარებით სადა ქალზე მეულე მყავს გასაცვლელი. — მას შემდეგ, რაც ტანსაცმელი შეიცვალა ტყავსაცმელით!

არგაბელო ვაბედაპ

ნან. ბარბარა ჰენინგერიხსა



უსიტყვოდ

ნან. პაპო კანალასი



— გაჩერდი, როცა ცოლი გელაპარაკება!



უსიტყვოდ

## უცხოური იუმორი

საქართველო კოლონია: ზ. ბოლშაქოვი (მთ. რედ. მოადგილე). ზ. პაციუვილი. ზ. ლოლუა. ბ. ლომიძე, ნ. მალაფონი (მხატვ. რედ.). ნ. ნიშინაძე, ბ. სინაბაშვილი (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირსინაშვილი, მ. ბელიძე. © საბჭოთა და ევროპის უცხოური იუმორის ანთოლოგია „ნიანგა“.

© ტექნიკური რედაქტორი მ. კუხიანიძე, რუსთაველის პროსპექტი № 42, © საბჭოთა და ევროპის უცხოური იუმორის ანთოლოგია „ნიანგა“.

ბარბარა ჰენინგერიხსა, © ბარბარა ჰენინგერიხსა 11/11-76 წ. კალკულუსი ზომის 70x108/8.

ფიგურა ნაბაძე ფურცელი 1. საბჭოთა და ევროპის უცხოური იუმორის ანთოლოგია „ნიანგა“.

სტანისლავ რაპინჩი, © სტანისლავ რაპინჩი 14. © შპაპ. 551. უშ 00669. ბირ. 139.000. ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგა». © Издательство ЦК КП Грузии. Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ბელუფონები: 89-78-69, 88-19-42, 98-10-78, 98-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.


მთავარი რედაქტორი  
ზურაბ ბეზინაშვილი



# სამთავრობო მსახური

იპონელი ქალები ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ, როდესაც ახანოში მიბრძანდებოდნენ, შესასვლელ ბილეთში ორჯერ მეტს იხდიდნენ ვიდრე მამაკაცები. ეს სრულიად ლოგიკურიც გახლდათ — ქალები თავისი გრძელი თმების დასაბანად ორჯერ მეტი წყალი სჭირდებოდათ, ვიდრე მამაკაცებს!

ახლანდელი ბილეთების ფასი გათანაბრდა. ახალმა მუდამ თავისი საზღაური მოითხოვა, — იპონელი მამაკაცების თმების სიგრძე არაფრით ჩამოეფარებოდა ქალების დაღალ-კავებს. ისე რომ, დაბანვისას წყალიც და საბონიც ერთნაირად სჭირდებათ.



## ჩინური სტილი

დალასის სატელევიზიო სტუდია (აშშ) უოველდლიურად 19 საათსა და 15 წუთზე წყვეტს თავის გადაცემებს და დიქტორი მომზიბლავი დიმილით იმეორებს ერთ და იმავე ფრაზას: „ვაკეთებთ ორწუთიან პაუზას. რათა ჩვენს ტელემაყურებელ ქალებს შეეძლოს საშუალება შეიხედონ სამზარეულოებში და დარწმუნდნენ, რომ სადილი ხომ არ დაწვა ან ხომ არ გადმოვიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გვინდა, რომ ტელეგადაცემები ოჯახური უსიამოვნების მიზეზი გახდეს!“



## „ქართული სტილი“

კანადელმა ო'როკემ ტორონტოში გახსნა მამაკაცთათვის წვრილმანი მომსახურების პუნქტი (ლილვების მიკერება, წინდების დაკემსვა, შარვლის დაუთოება და ა. შ.). „ბიზნესმენი“ სრულიადაც არ ელოდა, რომ იგი ნამდვილ „ოქროს საბადოს“ წააწყდებოდა. შეკვეთები ნიაღვარივით წამოვიდა. კლიენტთა ძირითად ნაწილს შეადგენენ... ახალგაზრდა ცოლები.



## არაქართული სტილი

ინგლისურმა გაზეთმა მკითხველი ქალებისათვის ჩაატარა კონკურსი: „ძლიერ ლაქონიურად აგვიწერეთ როგორი უნდა იყოს იდეალური ქმარი“.

კონკურსში გამარჯვება და პირველი პრემია მიიღო ასეთმა პასუხმა:

„იდეალურია ის ქმარი, რომელსაც სჭერა, რომ ჰყავს იდეალური ცოლი“.

## ქართული

ლოს-ანჯელისებელმა ნორმან დევისმა ცოლი 1982 წლის 1 იანვარს მოიყვანა: ეს ბედნიერი დღე ჩვენი მომავალი ბედნიერების საწინდარი იქნებაო. 40 წლის შემდეგ, 1972 წლის 1 იანვარს, მან ცოლს წაუკითხა ნაწვევებში თავისი სპეციალური დღიურიდან, სადაც იწერებოდა „ცოლქმრული გაუგებრობანი“. დღიური დალადებდა: ორმოცი წლის მანძილზე ცოლის მიზეზით (ნორმანი ასე თვლის...) 1,897-ჯერ იხსუბეს უგემური სადილის გამო, 784-ჯერ იმისათვის, რომ გასაპარსი წყალი არ იყო საკმაოდ გამთბარი, 547-ჯერ — „აბუჩად ამგდები ქირქილისათვის“, 8-ჯერ კი — კატის გულისათვის.

— აი, ასეთია „მეჯ“, — უთხრა მისტერ დევისმა თავის ცოლს. — ჩემი სახალწლო შეცდომის ნაყოფი!

